ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№48. 48252183

თარიღი:06/08/2025

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით დარეგისტრირების

შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2025 წლის 4 აგვისტოს N1244 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ძირითადი(განუსხვისებელი) ქონების სახით დარეგისტრირდეს ქალაქ წყალტუბოში, ბაგრატის ქუჩა N3-ში მდებარე 945 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. საკადასტრო კოდი N29.08.38.388 (ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა სარგებლობის გზა).

2. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაარეგისტრიროს ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ქონება.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს (უფროსი მ. კანკაძე).

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი კუპრაძის ქ. №11) კანონით დადგენილი წესით.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY №2 221274546

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი